სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/78 13.09. 2022 წ.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებებში (№ 01-04/67 5.09.) -„უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო ცხრილებისა და გარემოს შექმნის შესახებ " ნაწილობრივი ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნეს ნაწილობრივი ცვლილება რექტორის ბრძანებაში - № 01-04/67 5.09. 2022 „უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო ცხრილებისა და გარემოს შექმნის" შესახებ და ამ ბრძანების მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   - სამართლის, საჯარო მმართველობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის (სოც. მეცნიერებები) მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის სავალდებულო უცხო ენები ჩატარდეს ორშაბათს და ოთხშაბათს 14:00 და 15:00 საათზე. ხოლო, საერთაშორისო ურთიერთობების მესამე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის სავალდებულო უცხო ენები ჩატარდეს ორშაბათს და ოთხშაბათს 11:00 და 12:00 საათზე თამარ მეფის № 59- ში მდებარე სასწავლო კორპუსებში.

   - საჯარო მმართველობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის (სოც. მეცნიერებები) მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის არჩევითი უცხო ენები ჩატარდეს სამშაბათს და ხუთშაბათს 14:00 და 15:00 საათზე თამარ მეფის № 59 - ში მდებარე სასწავლო კორპუსებში.
   - საერთაშორისო ურთიერთობების მესამე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ,,უცხო ენა 5" და ,,უცხო ენა 6" - ორშაბათს და ოთხშაბათს 11:00 და 12:00 საათზე.

2. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება

საფუძველი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელის ასოცირებულ პროფ. ნათია ზვიადაძის სამსახურეობრივი ბარათი.

რექტორი: პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე